Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი
სოციალურ მეცნიერებებში
#31, თებერვალი, 2026

პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ნარატივები ქართულ სოციალურ მედიაში: 2024 წლის საპროტესტო ტალღის მაგალითზე

ნინო ბერკაცაშვილი
მარიამ ტუღუში

საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

nino.berkatsashvili409@sps.tsu.edu.ge
mariam.tughushi102@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გავრცელება სოციალურ მედიაში თანამედროვე პოლიტიკური პროცესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები მყიფეა და საზოგადოებრივი პოლარიზაცია მაღალია. 2024 წლის საპროტესტო ტალღამ საქართველოში სოციალური ქსელები აქცია არა მხოლოდ ინფორმაციის სწრაფი გავრცელების, არამედ პოლიტიკური ბრძოლისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ცენტრალურ სივრცედ. „უცხოური გავლენის შესახებ“ კანონპროექტის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა მკაფიოდ წარმოაჩინა ინფორმაციის მანიპულირების მასშტაბი და დეზინფორმაციული ნარატივების როლი საზოგადოებრივ პროცესებში.

წინამდებარე კვლევის მიზანია, 2024 წლის საპროტესტო ტალღის მაგალითზე გააანალიზოს ქართულ სოციალურ მედიაში გავრცელებული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ნარატივები და შეაფასოს მათი გავლენა საზოგადოებრივ აღქმასა და პროტესტში ჩართულობაზე. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ამოცანები შემდეგი სახით ფორმულირდა: გამოვლინდეს ნარატივების მთავარი გამავრცელებელი არხები და მექანიზმები, ასევე შევისწავლოთ ის პლატფორმები და აქტორები, რომლებიც კონკრეტული მესიჯების ვირუსულ გავრცელებას უწყობდნენ ხელს. ნაშრომი ეფუძნება თვისებრივ კვლევას, რაც საშუალებას იძლევა დეტალურად გაანალიზდეს პროპაგანდისტული ნარატივების შინაარსობრივი მხარე და მათი სიმბოლური მნიშვნელობები. კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია კონტენტ ანალიზი და ქართულ სოციალურ მედიაში არსებული პლატფორმების მონიტორინგი, რათა სიღრმისეულად შეისწავლოს დეზინფორმაციული მესიჯების სტრუქტურა და მათი გავლენის მექანიზმები.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დეზინფორმაციული ნარატივები აქტიურად გამოიყენებოდა პროტესტის დისკრედიტაციისთვის, მთავრობის იმიჯის მხარდასაჭერად და საზოგადოების პოლარიზაციისთვის. მიუხედავად ამისა, კვლევა ასკვნის, რომ სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდამ, მიკრო-ბლოგინგისა და თვითორგანიზებული კომუნიკაციის პრაქტიკებმა მნიშვნელოვნად შეამცირა დეზინფორმაციის ეფექტი და გამოკვეთა მედია-წიგნიერებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარების გადამწყვეტი მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: დეზინფორმაცია, სოციალური მედია, პროპაგანდა, სამოქალაქო საზოგადოება, საპროტესტო მოძრაობა.

შესავალი

21-ე საუკუნეში სოციალური მედია პოლიტიკური კომუნიკაციისა და ძალაუფლების გადანაწილების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სივრცედ ჩამოყალიბდა. ციფრულმა პლატფორმებმა არსებითად შეცვალა ინფორმაციის წარმოების, გავრცელებისა და მოხმარების ლოგიკა, რის შედეგადაც საზოგადოებრივი აზრის ფორმირება სულ უფრო მეტად დამოკიდებული გახდა ალგორითმებზე, ვიზუალურ კონტენტსა და ემოციურ ნარატივებზე. არაერთი კვლევა მიუთითებს, რომ განსაკუთრებით მყიფე დემოკრატიისა და ჰიბრიდული რეჟიმების პირობებში სოციალური მედია იქცევა არა მხოლოდ პოლიტიკური მონაწილეობისთვის ღია სივრცედ, არამედ პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ეფექტიან ინსტრუმენტად. ასეთ კონტექსტში ინფორმაციული ბრძოლა ხშირად პოლიტიკური პროცესების განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება.

ჰიბრიდული რეჟიმების კვლევის ფარგლებში ლარი დაიმონდი (2002), ასევე სტივენ ლევიცკი და ლუკან ვეი (2010) ხაზს უსვამენ, რომ ასეთ სისტემებში ავტორიტარული მმართველობა შენიღბულია დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმალური არსებობით. მედიაპლურალიზმი, არჩევნები და სამოქალაქო თავისუფლებები ფორმალურად ინარჩუნებენ არსებობას, თუმცა რეალური ძალაუფლება კონცენტრირებულია მმართველი ელიტების ხელში. სწორედ ასეთ გარემოში ინფორმაციის კონტროლი და ნარატივების მართვა იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რადგან ხელისუფლება ხშირად მიმართავს პროპაგანდასა და დეზინფორმაციას ლეგიტიმაციის შესანარჩუნებლად, ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაციისთვის. საქართველოში 2024 წლის საპროტესტო ტალღა ნათლად ასახავს ამ დინამიკას. „უცხოური გავლენის შესახებ“ კანონპროექტის წარდგენამ ფართო საზოგადოებრივი წინააღმდეგობა გამოიწვია, რადგან ის აღქმული იყო როგორც საფრთხე ქვეყნის

დემოკრატიული განვითარებისა და ევროინტეგრაციის პროცესისთვის. პროტესტის სწრაფ გაფართოებას თან ახლდა სოციალური მედიის აქტიური გამოყენება, რომელმაც ერთდროულად უზრუნველყო ინფორმაციის მობილიზება და გახსნა სივრცე მასშტაბური მანიპულაციისთვის. Facebook, TikTok და Instagram იქცა პოლიტიკური ბრძოლის არენად, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებოდა სამოქალაქო აქტივიზმი და კოორდინირებული პროპაგანდისტული ნარატივები.

არსებული კვლევები ცხადყოფს, რომ სოციალური მედიის პირობებში პროპაგანდა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ტრადიციული მედიის საშუალებებით. ჰერმან–ჩომსკის „პროპაგანდის მოდელი“, რომელიც თავდაპირველად კლასიკური მედიისთვის იყო შექმნილი, ციფრულ ეპოქაში ახალ სიცოცხლეს იძენს: ალგორითმები აძლიერებს ემოციურად დატვირთულ და პოლარიზებულ კონტენტს, რაც დეზინფორმაციის ვირუსულ გავრცელებას უწყობს ხელს. ამასთან, ქლეარ ვორდლის დეზინფორმაციის კლასიფიკაცია (misinformation, disinformation, malinformation) განსაკუთრებით გამოსადეგია თანამედროვე საპროტესტო პროცესების ანალიზისთვის. 2024 წლის საქართველოს პროტესტების შემთხვევაში დომინანტური იყო დეზინფორმაცია (disinformation) და მავნე ინფორმაცია (malinformation), რომლებიც მიზანმიმართულად გამოიყენებოდა საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა და პროტესტის ლეგიტიმაციის დასასუსტებლად.

მიუხედავად სოციალური მედიის გავლენის მზარდი როლისა, ქართულ აკადემიურ სივრცეში კვლავ მწირია ემპირიული კვლევები, რომლებიც სისტემურად აანალიზებს პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ნარატივებს კონკრეტული პოლიტიკური კრიზისის კონტექსტში. განსაკუთრებით ნაკლებადაა შესწავლილი ის მექანიზმები, რომლითაც იქმნება და ვრცელდება პროპაგანდისტული მესიჯები, ასევე მათი რეალური გავლენა საზოგადოებრივ აღქმასა და პროტესტში მოქალაქეთა ჩართულობაზე. არსებული ლიტერატურა ხშირად ფოკუსირდება ან მედიის ზოგად როლზე, ან დემოკრატიული უკუსვლის სტრუქტურულ მიზეზებზე, თუმცა ნაკლებ ყურადღებას უთმობს ციფრული ნარატივების კონკრეტულ პრაქტიკებს.

საკვლევ პრობლემას წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ როგორ იქმნება და ვრცელდება პროპაგანდისტული და დეზინფორმაციული ნარატივები ქართულ სოციალურ მედიაში 2024 წლის საპროტესტო ტალღის მაგალითზე და ამ ნარატივებმა რა როლი ითამაშა

საზოგადოებრივ აღქმასა და პროტესტის დინამიკაზე. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ სოციალური მედია წარმოადგენს ერთდროულად მობილიზაციისა და მანიპულაციის პლატფორმას, რის შედეგადაც რთულია განსაზღვრა, როგორ აღიქვამს საზოგადოება ნარატივებს, როგორ გამოიხატება პროტესტი რეალურ და ლეგიტიმურ ფორმებში და როგორ განსაზღვრავს ინფორმაციული ზეწოლა საპროტესტო აქტივობის მასშტაბსა და ხარისხს. ამ პრობლემური საკითხების სიღრმისეული შესწავლის მიზნით, წინამდებარე კვლევის მიზანია, 2024 წლის საპროტესტო ტალღის მაგალითზე გააანალიზოს ქართულ სოციალურ მედიაში გავრცელებული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ნარატივები და შეაფასოს მათი გავლენა საზოგადოებრივ აღქმასა და პროტესტში ჩართულობაზე. დასახული მიზნის მისაღწევად კვლევის ფარგლებში გადაიჭრა შემდეგი ამოცანები: გამოვლინდეს ნარატივების მთავარი გამავრცელებელი არხები და მექანიზმები; შეისწავლოს ის პლატფორმები და აქტორები, რომლებიც კონკრეტული მესიჯების ვირუსულ გავრცელებას უწყობდნენ ხელს; გაანალიზდეს საზოგადოების რეაგირება ამ ნარატივებზე და მათი გავლენა საპროტესტო აქტივობის ხარისხზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

სოციალურ მედიაში პროპაგანდისა და დეზინფორმაციის კვლევა თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებებსა და მასობრივი კომუნიკაციის კვლევებში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ მიმართულებად იქცა. ციფრული პლატფორმების განვითარებამ საკმაოდ შეცვალა პოლიტიკური კომუნიკაციის სტრუქტურა და ძალაუფლების განაწილების სახეები, რის შედეგადაც საზოგადოებრივი აზრის ფორმირება სულ უფრო მეტად დამოკიდებული გახდა ონლაინნარატივებზე, ალგორითმებსა და ემოციურად დატვირთულ კონტენტზე. მრავალი მკვლევარი მიუთითებს, რომ სოციალური მედია აღარ წარმოადგენს მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების ნეიტრალურ სივრცეს, არამედ აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკური რეალობის კონსტრუირებაში (Castells, 2012; Chadwick, 2017).

პროპაგანდის კვლევის კლასიკურ ჩარჩოდ კვლავ რჩება ჰერმანისა და ჩომსკის „პროპაგანდის მოდელი“ (Herman, et al., 1988), რომელიც აღწერს იმ სტრუქტურულ ფილტრებს, რომელთა მეშვეობითაც მედია ემსახურება პოლიტიკური ელიტების

ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოდელი თავდაპირველად ტრადიციული მედიის ანალიზზე იყო ორიენტირებული, თანამედროვე ავტორები აღნიშნავენ, რომ სოციალური მედიის ეპოქაში ეს ფილტრები უფრო კომპლექსურ და ნაკლებად თვალსაჩინო ფორმას იძენს. ალგორითმები და მომხმარებელთა ქცევაზე ორიენტირებული კონტენტი ქმნის გარემოს, სადაც პროპაგანდისტული მესიჯები უფრო სწრაფად და ფართო მასშტაბით ვრცელდება (Fuchs, 2017).

დეზინფორმაციის თანამედროვე კვლევებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქლეარ ვორდლისა და ჰოსე დერახშანის მიერ შემუშავებული კლასიფიკაცია, რომელიც განასხვავებს მცდარ ინფორმაციას (misinformation), დეზინფორმაციასა (disinformation) და მავნე ინფორმაციას (malinformation) (Wardle, et al., 2017). აღნიშნული ჩარჩო კი საშუალებას იძლევა, რომ ანალიზი გასცდეს „ცრუ ინფორმაციის“ ზოგად გაგებას და გამოავლინოს მანიპულაციის განზრახვა, კონტექსტი და პოლიტიკური მიზნები. არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ საპროტესტო მოძრაობების კონტექსტში განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება დეზინფორმაცია (disinformation) და მავნე ინფორმაცია (malinformation), რაც მიზნად ისახავს პროტესტის ლეგიტიმაციის შელახვას და საზოგადოებრივი მხარდაჭერის შემცირებას (Benkler, et al., 2018).

ჰიბრიდული რეჟიმების თეორია, რომელიც განვითარებულია ლარი დაიმონდის (2002), ასევე სტივენ ლევიცკისა და ლუკან ვეის (2010) ნაშრომებში, მნიშვნელოვან ანალიტიკურ ჩარჩოს ქმნის ინფორმაციული მანიპულაციის კვლევისთვის. ავტორები მიუთითებენ, რომ ასეთ რეჟიმებში დემოკრატიული ინსტიტუტები ფორმალურად ფუნქციონირებს, თუმცა რეალური პოლიტიკური კონკურენცია შეზღუდულია. მედიის კონტროლი და ნარატივების მართვა ხელისუფლებისთვის ლეგიტიმაციის შენარჩუნების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად იქცევა. ამ კონტექსტში სოციალური მედია ხდება არა მხოლოდ პოლიტიკური მონაწილეობის სივრცე, არამედ სახელმწიფოსა და მმართველი ელიტების მიერ გამოყენებული გავლენის მექანიზმი.

სოციალური მედიის როლზე საუბრისას, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ისეთმა ავტორებმა, როგორიც არიან მანუელ კასტელსი (2012) და ზეინეპ ტუფექჩი (2017). კასტელსი სოციალურ მედიას განიხილავს, როგორც „ქსელური ძალაუფლების“ სივრცეს, სადაც ინფორმაციული ნაკადები განსაზღვრავს პოლიტიკური მობილიზაციის შესაძლებლობებს. ტუფექჩი კი ხაზს უსვამს, რომ მიუხედავად სოციალური მედიის

პოტენციალისა, პლატფორმების სტრუქტურა ხშირად ხელს უწყობს ზედაპირულ აქტივიზმს და ართულებს გრძელვადიანი პოლიტიკური ორგანიზების პროცესს, რაც დეზინფორმაციისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის.

თანამედროვე ლიტერატურაში ასევე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხელოვნური ინტელექტისა და დიფფეიკ ტექნოლოგიების გამოყენებას პოლიტიკური კომუნიკაციის პროცესში. კვლევები მიუთითებს, რომ ვიზუალური და აუდიო მანიპულაციის ტექნოლოგიები მნიშვნელოვნად ზრდის დეზინფორმაციის სანდოობის ილუზიას და ამცირებს საზოგადოების უნარს, განასხვავოს რეალური ინფორმაცია გაყალბებულისგან (Vaccari, et al., 2020). ეს ტენდენცია განსაკუთრებით პრობლემურია ისეთ პოლიტიკურ სისტემებში, სადაც მედია-წიგნიერების დონე არასაკმარისია და ნდობა ინსტიტუტების მიმართ დაბალია. აღნიშნულ თემას მასობრივი კომუნიკაციის ექსპერტიც შეეხო - ***„საქართველოში მედია-წიგნიერების განვითარება საკმაოდ მნიშვნელოვანია და სკოლიდანვე უნდა ისწავლებოდეს საგნად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ არ ექნებათ კრიტიკული აზროვნებისა და დეზინფორმაციის გარჩევის უნარი“ (ექსპერტი N3; 17/01/2026)***

მიუხედავად საერთაშორისო აკადემიური ლიტერატურის სიმრავლისა, ქართულ კონტექსტში პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ემპირიული კვლევები კვლავ შეზღუდულია. არსებული ნაშრომები ძირითადად ფოკუსირდება მედიის ზოგად როლზე, დემოკრატიული უკუსვლის ინსტიტუციურ მიზეზებზე ან საგარეო გავლენებზე, თუმცა ნაკლებ ყურადღებას უთმობს კონკრეტული ნარატივების ფორმირებასა და გავრცელების პრაქტიკებს სოციალური მედიის პირობებში. სწორედ ამ კვლევითი ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი, რომელიც 2024 წლის საპროტესტო ტალღის მაგალითზე აანალიზებს პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ნარატივებს ქართულ სოციალურ მედიაში და მათ გავლენას საზოგადოებრივ აღქმასა და პოლიტიკურ პროცესებზე.

მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, წინამდებარე კვლევა ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდს, რომელიც საშუალებას იძლევა გაანალიზებული იქნას პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ნარატივები ქართულ სოციალურ მედიაში 2024 წლის საპროტესტო ტალღის კონტექსტში. თეორიული ჩარჩო ემყარება ქლეარ ვორდლის დეზინფორმაციის კლასიფიკაციას, რომელიც გამოყოფს სამი ტიპის მასალას: "Misinformation" (მცდარი ინფორმაცია), "Disinformation" (დეზინფორმაცია) და "Malinformation" (მავნე ინფორმაცია). ვორდლის ჩარჩოს შერჩევა 2024 წლის მაგალითების ასახსნელად განპირობებულია იმით, რომ ქართული საინფორმაციო სივრცე იმყოფებოდა ჰიბრიდული შეტევის ქვეშ, სადაც ინფორმაციის დაბინძურება ერთდროულად რამდენიმე დონეზე მიმდინარეობდა. ეს მოდელი საშუალებას გვაძლევს ავხსნათ, როგორ ახდენდა ინფორმაციული ზეწოლა გავლენას პროტესტზე. შედეგად, საზოგადოება აღმოჩნდა ისეთ გარემოში, სადაც ინფორმაციის ვალიდურობის დადგენა სულ უფრო რთულდებოდა, რაც პირდაპირ აისახებოდა პროტესტის მასშტაბსა და მონაწილეთა განწყობებზე. ეს თეორიული მიდგომა საუკეთესოდ ხსნის იმ ციფრულ სისტემას, რომელშიც სოციალური მედია მობილიზაციის საშუალებიდან მანიპულაციის პლატფორმად გარდაიქმნა.

კვლევის მთავარ წყაროს წარმოადგენს ექსპერტული ინტერვიუები, რომელთა საშუალებითაც აღიბეჭდა, როგორ ახდენენ მედია და კონკრეტული პოლიტიკური ძალები ნარატივების მართვას და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. ინტერვიუები ჩატარდა 5 მასობრივი კომუნიკაციის ექსპერტთან და თითოეული ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა იყო 20 წუთი. ინტერვიუს ფორმატი იყო ნახევრად სტრუქტურირებული, რაც უზრუნველყოფდა საჭირო მიმართულებების დაცვას, მაგრამ არ უზღუდავდა რესპონდენტებს საკუთარი გამოცდილებისა და დაკვირვებების გაზიარებას. ინტერვიუს კითხვები შეეხებოდა პროტესტის დროს გავრცელებულ ნარატივებს, პროპაგანდისტულ სტრატეგიებს, დეზინფორმაციული მასალების ტექნიკურ თავისებურებებს, მედიის როლს, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას დიფფეიკებში და საზოგადოების აღქმას. ექსპერტული ინტერვიუების შემთხვევაში შევიმუშავეთ კვლევითი ინსტრუმენტი- ექსპერტული ინტერვიუს გზამკვლევი. კვლევის ფარგლებში ექსპერტების შერჩევა განხორციელდა არაალბათური, მიზნობრივი შერჩევის მეთოდით, რომლის პირობებში გათვალისწინებული იყო მათი აქტიური ჩართულობა მედიისა და პოლიტიკური

პროცესების ანალიზში, შესაბამისი პროფესიული გამოცდილება და კომპეტენცია პროპაგანდის, დეზინფორმაციისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიმართულებით. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფდა, რომ ინტერვიუები მოგვეპოვებინა არა მხოლოდ თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული გამოცდილების მქონე რესპონდენტებისგან, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა მონაცემების სიღრმესა და კვლევის სანდოობას. კვლევის ფარგლებში სრულად დაცული იყო სამეცნიერო კვლევის ეთიკის ძირითადი პრინციპები, განსაკუთრებით ყურადღება მიექცა რესპონდენტების უფლებებსა და კონფიდენციალურობას. ყველა ექსპერტთან ინტერვიუ ჩატარდა წინასწარი თანხმობის საფუძველზე, რესპონდენტებს ჰქონდათ ინფორმაცია კვლევის მიზნის, მონაცემების გამოყენების ფორმასა და დამუშავების პროცესის შესახებ. ინტერვიუების ჩაწერისას გამოყენებული იყო აუდიოჩანაწერი, რომელიც შემდგომში მხოლოდ გამოიყენებოდა მონაცემების ანალიზისა და კოდირებისთვის.

ჩატარებული ექსპერტული ინტერვიუების შინაარსობრივი ანალიზი ფოკუსირებული იყო 2024 წლის საპროტესტო ტალღის დროს დეზინფორმაციული ნარატივების გავრცელების მექანიზმებსა და მათ სტრუქტურაზე. ანალიზმა აჩვენა, რომ პროტესტის დისკრედიტაციისკენ მიმართული მესიჯები სისტემურ ხასიათს ატარებდა და მიზნად ისახავდა საპროტესტო მოძრაობის ლეგიტიმაციის შერყევას. ასევე, გამოიკვეთა მთავრობის მხარდამჭერი პროპაგანდისტული ნარატივების ძირითადი თემატიკა, რომელიც ხშირად ეფუძნებოდა საფრთხისა და უსაფრთხოების დისკურსს. ინტერვიუებმა წარმოაჩინა სოციალური მედიის პლატფორმების, განსაკუთრებით Facebook-ისა და TikTok-ის, მნიშვნელოვანი როლი დეზინფორმაციის ვირუსულ გავრცელებაში, რასაც ემოციურად დატვირთული და ვიზუალურად დამუშავებული კონტენტი აძლიერებდა. დამატებით, გამოვლინდა ხელოვნური ინტელექტისა და დიფფეიკ ტექნოლოგიების მზარდი გამოყენება, რაც ინფორმაციული მანიპულაციის ახალ გამოწვევებს ქმნის და ართულებს დეზინფორმაციის იდენტიფიკაციას.

სამაგიდე კვლევა წარმოადგენდა კვლევის კომბინირებულ ფაზას, რომლის ფარგლებშიც ანალიზი განხორციელდა მედია-მონიტორინგის ჯგუფების, დამოუკიდებელი ახალი ამბების საიტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებისა და დოკუმენტების გამოყენებით. მონაცემთა ბაზა მოიცავს 2024 წლის აპრილიდან დეკემბრამდე პერიოდს. ანალიზისთვის შეირჩა 150-მდე პოსტი სხვადასხვა პლატფორმებიდან, როგორიცაა

Facebook, TikTok, Instagram, სადაც გამოვლინდა როგორც ტექსტური, ისე ვიზუალური პროპაგანდა. შერჩევა მოხდა საკვანძო სიტყვების: *„აგენტების კანონი“, „გლობალური ომის პარტია“* და *„არა რუსულ კანონს“* გამოყენებით. ამ მეთოდის საშუალებით გამოიკვეთა დეზინფორმაციული ნარატივების არქიტექტურა, გავრცელების დინამიკა, კოორდინირებული მოქმედების ფაქტები და პოლიტიკურად მოტივირებული კონტრაქტების იდენტიფიკაცია. სამაგიდე კვლევის ფარგლებში ანალიზი განხორციელდა ისეთი დამოუკიდებელი მედიაპლატფორმებისა და საინფორმაციო სააგენტოების მასალებზე დაყრდნობით, როგორიცაა: *„პუბლიკა“ (Publika.ge), „ნეტგაზეთი“ (Netgazeti.ge), „რადიო თავისუფლება“ (Tavisupleba.org)* და *„Civil.ge“*. ამასთანავე, დეზინფორმაციული ნარატივების იდენტიფიცირებისთვის შესწავლილი იქნა ფაქტების გადამმოწმებელი პლატფორმების, *„მითების დეტექტორისა“* (Myth Detector) და *„ფაქტ-მეტრის“* (FactCheck.ge) სპეციალური ანგარიშები, რომლებიც 2024 წლის აპრილი-დეკემბრის პერიოდში სოციალურ მედიაში გავრცელებულ მანიპულაციურ კონტენტს ეხებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელოვნური ინტელექტისა და დიფფეიკების გამოყენება, რაც პირდაპირ აისახა საზოგადოების აღქმასა და ნარატივების რეალობასთან შესაბამისობაში. ექსპერტების თქმით, საერთაშორისო ორგანიზაცია WITNESS-ის „Deepfakes Rapid Response Force“-ის პროგრამები ადასტურებს ხელოვნური ინტელექტის მაღალი ალბათობით გამოყენებას, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ 2024 წლის საპროტესტო ტალღის დროს ნარატივები მხოლოდ შემთხვევითი დეზინფორმაცია არ იყო, არამედ მიზანმიმართული და კოორდინირებული მანიპულაცია.

მონაცემთა ანალიზი და დამუშავება წარმოებული იქნა რამდენიმე საფეხურად. პირველ ეტაპზე ინტერვიუები ჩაიწერა აუდიოჩანაწერების მეშვეობით, რის შემდეგაც თითოეული ჩანაწერი დამუშავდა ტრანსკრიპციის მეშვეობით, შემდეგ კი განხორციელდა კოდირება, რაც საშუალებას იძლევა გამოვლენილიყო ძირითადი ნარატივები, კოორდინირებული მოქმედებები და დეზინფორმაციის გავრცელების კონკრეტული გზები.

კვლევის ფარგლებში განხორციელებული თვისებრივი კონტენტ-ანალიზი სამეტაპიან პროცედურას ეფუძნებოდა: პირველ ეტაპზე მოხდა საკვლევი მასალის შერჩევა განსაზღვრული დროის მონაკვეთისა (2024 წლის აპრილი-დეკემბერი) და საკვანძო

სიტყვების საფუძველზე. მეორე ეტაპზე ჩატარდა ტექსტების წინასწარი გაცნობა, რომლის საფუძველზეც დაიხვეწა და დაზუსტდა კოდირების კატეგორიები. მესამე ეტაპზე განხორციელდა უშუალო კოდირება, რა დროსაც თითოეული ტექსტური ერთეული (პოსტი, კომენტარი ან ვიზუალური კონტენტი) კლასიფიცირდა წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მიხედვით. მონაცემთა სისტემატიზაციისთვის გამოყენებულ იქნა ორი ძირითადი ანალიტიკური კატეგორია: ნარატივის შინაარსობრივი ტიპი, სადაც ერთიანდებოდა კოდები, რომლებიც განსაზღვრავდა პროტესტის ინტერპრეტაციას. მაგალითად: „პროტესტი როგორც დესტაბილიზაცია“ (სახელმწიფო გადატრიალების რიტორიკა) და „პროტესტი როგორც გარე მართული პროცესი“ (უცხოური გავლენის ნარატივი). ასევე, დეზინფორმაციის ტექნიკური ფორმა: ამ კატეგორიაში მოხდა იმ კოდების გაერთიანება, რომლებიც ასახავდა მანიპულაციის მეთოდს, მაგალითად: დამონტაჟებული ფოტო/ვიდეო, „ემოციური მანიპულაცია“ (შიშის დათესვაზე ორიენტირებული პოსტები) და „კონტექსტის დამახინჯება“ (რეალური კადრების გამოყენება ყალბი აღწერით).

მონაცემები აღებული იქნა სხვადასხვა სოციალური მედიის პლატფორმიდან, როგორიცაა Facebook, TikTok, Instagram, სადაც გამოვლინდა როგორც ტექსტური, ისე ვიზუალური პროპაგანდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელოვნური ინტელექტისა და დიფფეიკების გამოყენება, რაც პირდაპირ აისახა საზოგადოების აღქმასა და ნარატივების რეალობასთან შესაბამისობაში.

აღნიშნული კვლევა წარიმართა გარკვეული შეზღუდვების ფარგლებში. კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მიღებული მონაცემები მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს სოციალურ ქსელებში არსებულ სურათს. ზოგიერთი ჯგუფი და ჩატი (მაგალითად, Telegram-ის დახურული არხები) არ იყო ხელმისაწვდომი, რაც ნიშნავს, რომ კვლევა არ არის განზოგადებული მთელ სოციალურ ქსელებზე.

ასევე, დროის სიმცირის გამო ვერ ჩატარდა უფრო მეტი ინტერვიუ, რაც შეზღუდავს კვლევის სიმრავლის გაზრდის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, მიღებული მონაცემები საკმარისია, რათა დეტალურად წარმოვაჩინოთ პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ნარატივების სპეციფიკა და მათი გავლენა 2024 წლის საპროტესტო ტალღის დროს.

ზემოაღნიშნული კვლევითი შეზღუდვების მიუხედავად, წინამდებარე კვლევა იძლევა საშუალებას, შესწავლილი და შეფასებული იქნას პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ნარატივების ფორმირება, გავრცელება და გავლენა ქართულ სოციალურ მედიაში 2024 წლის საპროტესტო ტალღის კონტექსტში. კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ, როგორ იყენებენ სხვადასხვა მედია-სტრუქტურები და პოლიტიკური აქტორები სოციალურ ქსელებს საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისთვის, როგორ ხდება დეზინფორმაციისა და მალისინფორმაციის კოორდინირებული გავრცელება, ასევე, როგორ პასუხობს საზოგადოება ასეთი ნარატივების ზეწოლას.

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 2024 წლის საპროტესტო ტალღის დროს ქართულ სოციალურ მედიაში დეზინფორმაციული ნარატივები მიზანმიმართულად გამოიყენებოდა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით. ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავდნენ პროტესტის დისკრედიტაციისკენ მიმართული ნარატივების სისტემურ ხასიათს, რომელთა მიზანი იყო საპროტესტო მოძრაობის ისეთ პროცესად წარმოჩენა როგორც არის ქაოტური, რადიკალური ან უცხო ძალების მიერ მართული: ***"დეზინფორმაციას სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს, მაგრამ როცა სახელმწიფო თვითონ არის დეზინფორმაციის პირველი გამავრცელებელი წყარო, ეს უკვე ავტორიტარული მმართველობის დამახასიათებელია" (ექსპერტი N1; 15/01/2026)***

მეორე მნიშვნელოვანი შედეგი უკავშირდება მთავრობის მხარდამჭერი მესიჯების კოორდინირებულ გავრცელებას, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი იყო Facebook-ისა და TikTok-ის პლატფორმებზე. ვიზუალური მანიპულაცია, დამონტაჟებული ვიდეოები და ემოციური სათაურები ზრდიდა კონტენტის ვირუსულობას და ამცირებდა კრიტიკული აღქმის შესაძლებლობას. ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ მედიააქტორები, რომლებიც ნეიტრალური მედიის იარლიყით ავრცელებდნენ პოლიტიკურად მიკერძოებულ შინაარსს: ***"ყველაზე საშიშნი ისინი არიან, ვინც ნეიტრალური მედიის სახელით არიან შენიღბული, მაგრამ კონკრეტული პოლიტიკური ძალებისთვის დიდ საქმეს აკეთებენ" (ექსპერტი N2 17/01/2025)***.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მიუხედავად დეზინფორმაციის მასშტაბისა, სამოქალაქო საზოგადოების თვითორგანიზებული კომუნიკაციის პრაქტიკებმა და მიკრობლოგინგმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კონტრნარატივების შექმნაში. ინფორმაციის გადამოწმების ინიციატივებმა და აქტივისტურმა ქსელებმა შეამცირა პროპაგანდის ეფექტი და გაზარდა მედია-წიგნიერების მნიშვნელობა. 2024 წლის საპროტესტო ტალღის შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა დეზინფორმაციისა და მავნე ინფორმაციის გავრცელება, რომელიც მიზანმიმართულ მანიპულირებას ემსახურებოდა, როგორც მედიის საშუალებით, ისე სხვადასხვა დამოუკიდებელი პლატფორმის მეშვეობით. მცდარი ინფორმაცია (Misinformation) 2024 წლის მოვლენებისას ძირითადად სპონტანური და ემოციური ხასიათის იყო. სოციალური მედიის მომხმარებლები, კრიზისულ ვითარებაში ხშირად აზიარებდნენ გადაუმოწმებელ ფაქტებს, არაზუსტ ლოკაციებს ან კონტექსტიდან ამოვარდნილ კადრებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მასალა მცდარი იყო, მას არ გააჩნდა წინასწარ განზრახული ბოროტი მიზანი. ამის საპირისპიროდ, დეზინფორმაცია (Disinformation) წარმოადგენდა კოორდინირებულ და სტრატეგიულ იარაღს, რომელიც მიზანმიმართულად იქმნებოდა საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისთვის. 2024 წლის საპროტესტო ტალღის შემთხვევაში, ეს ვლინდებოდა კონკრეტული ნარატივების გავრცელებაში, როგორიცაა, აქციის მონაწილეთა უცხოურ აგენტებად მოხსენიება ან სუვერენიტეტის საფრთხის ქვეშ დაყენების შესახებ თეორიების გავრცელება. ვორდლის თეორია აქ დაგვეხმარა, დაგვენახა, რომ ეს არ იყო შემთხვევითი შეცდომა, არამედ კოორდინირებული, მართული კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა პროტესტის ლეგიტიმაციის შელახვას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მავნე ინფორმაციის (Malinformation) როლი, რომელიც ვორდლის კლასიფიკაციაში ყველაზე სახიფათო ელემენტია. 2024 წლის საპროტესტო აქციების დროს მავნე ინფორმაციის გამოყენება გახდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი წნეხის მთავარი იარაღი. ეს გულისხმობდა ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, როგორიცაა აქტივისტების პირადი მონაცემები, მისამართები ან პირადი ცხოვრების დეტალები, მათი დაშინებისა და რეპუტაციის განადგურების მიზნით. ამგვარი ტაქტიკა სცილდება ტრადიციული დეზინფორმაციის ფარგლებს, რადგან ის ეფუძნება სიმართლეს, რომელიც ბოროტად არის გამოყენებული. ანალიზის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი დარღვევები მედიის მხრიდან, როგორიცაა

დამონტაჟებული ვიდეოები, რის გამოც მსმენელს ვიდეოში მონაწილე პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებზე არასწორი წარმოდგენა ექმნება; გაყალბებული აუდიო მასალები, სადაც ხმოვანი მასალა ქართველი პოლიტიკოსების ხმასაა მიმსგავსებული და გამოყენებულია უცენზურო სიტყვებიც; ცილისწამების ტიპის ნარატივები და სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მხარდაჭერის ან დისკრედიტაციის მცდელობები. მაგალითად, დამონტაჟებული ბანერის ფოტო ქართულ ოცნებასთან დაკავშირებული, რუსულ ენაზე გავრცელდა, ასევე მედიაარხებმა სხვადასხვა რაოდენობით გააშუქეს საპროტესტო აქციები, ეს კი მიუთითებს მედიის სარედაქციო პოლიტიკის პოლარიზებაზე, სადაც პროპაგანდისტული არხები აქცენტს აკეთებდნენ მხოლოდ ინციდენტებზე, ხოლო დამოუკიდებელი მედია ცდილობდა პროტესტის შინაარსობრივ გაშუქებას. ეს დისბალანსი ქმნიდა ორ პარალელურ რეალობას ერთსა და იმავე მოვლენაზე. ამ მეთოდის საშუალებით გამოიკვეთა დეზინფორმაციული ნარატივების არქიტექტურა, გავრცელების დინამიკა, კოორდინირებული მოქმედების ფაქტები და პოლიტიკურად მოტივირებული კონტრაქტების იდენტიფიკაცია.

წინამდებარე კვლევამ 2024 წლის საპროტესტო ტალღის მაგალითზე აჩვენა, რომ ქართული სოციალური მედია იქცა სამოქალაქო მობილიზაციისა და ინფორმაციის გაცვლის სივრცედ, ასევე მიზანმიმართული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის აქტიურ საშუალებად. კვლევის ფარგლებში გამოვლენილი ნარატივები ცხადყოფს, რომ დეზინფორმაციული და მანიპულაციური შინაარსი სისტემურად გამოიყენებოდა პროტესტის დისკრედიტაციისთვის, საზოგადოებრივი პოლარიზაციის გასაღრმავებლად და მთავრობის ლეგიტიმაციის მხარდასაჭერად. ამ პროცესებში განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ემოციური ზემოქმედების სტრატეგიები.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გავრცელება არ იყო შემთხვევითი ან სპონტანური მოვლენა, არამედ ხასიათდებოდა კოორდინირებული მოქმედების ნიშნებით, მათ შორის ვიზუალური მანიპულაციებით, გაყალბებული აუდიო-ვიდეო მასალებითა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით. სოციალური მედიის პლატფორმებს განსხვავებული ფუნქცია ჰქონდათ ნარატივების გავრცელების პროცესში: TikTok ძირითადად ემსახურებოდა ვიზუალურ და ემოციურ მანიპულაციას, Facebook კი ტექსტური დეზინფორმაციისა და პოლიტიკური ინტერპრეტაციების სწრაფ გავრცელებას. აღნიშნული ტენდენციები შეესაბამება ჰერმან–

ჩომსკის პროპაგანდის მოდელის თანამედროვე ინტერპრეტაციას და ქლეარ ვორდლის დეზინფორმაციის კლასიფიკაციას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს თეორიული ჩარჩოს გამოყენების რელევანტურობას.

მიუხედავად დეზინფორმაციული ნარატივების ფართო გავრცელებისა, კვლევამ ასევე გამოავლინა მნიშვნელოვანი ტენდენცია - საზოგადოების ნაწილის მზარდი კრიტიკული დამოკიდებულება ინფორმაციის მიმართ. ექსპერტული ინტერვიუების ანალიზმა აჩვენა, რომ მედია-წიგნიერების ზრდამ, მიკრო-ბლოგინგის პრაქტიკებმა და ფაქტჩეკინგის პლატფორმების აქტიურმა გამოყენებამ გარკვეულწილად შეამცირა პროპაგანდის ეფექტი და ხელი შეუწყო საზოგადოებრივი თვითორგანიზების გაძლიერებას: ***„იმდენად გამიჯნულია საზოგადოება, პოლიტიკური ველი და მედია ერთმანეთისგან, რომ აღნიშნული მოვლენები გავლენას არ ახდენდა აქტივისტებზე. მათ აქვთ კრიტიკული უნარი, გაფილტრონ დაბინძურებული ინფორმაცია“ (ექსპერტი N2; 17/01/2026)***

საერთო ჯამში, წინამდებარე კვლევამ 2024 წლის საპროტესტო ტალღის მაგალითზე აჩვენა, რომ ქართული სოციალური მედია ერთდროულად იქცა როგორც სამოქალაქო მობილიზაციისა და ინფორმაციის გაცვლის სივრცედ, ასევე მიზანმიმართული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის აქტიურ ინსტრუმენტად. გამოვლენილი ნარატივები ცხადყოფს, რომ მანიპულაციური შინაარსი სისტემურად გამოიყენებოდა პროტესტის დისკრედიტაციისთვის, საზოგადოებრივი პოლარიზაციის გასაღრმავებლად და ხელისუფლების ლეგიტიმაციის მხარდასაჭერად, თუმცა პარალელურად გამოიკვეთა საზოგადოებრივი მედია-წიგნიერების ზრდის და თვითორგანიზების მნიშვნელოვანი პოტენციალიც.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჰიბრიდული რეჟიმების პირობებში, როგორიც საქართველოა, ინფორმაციული სივრცე გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის. 2024 წლის საპროტესტო ტალღის მაგალითი აჩვენებს, რომ პროპაგანდისა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს არა მხოლოდ ნარატივების იდენტიფიკაციასა და ანალიზს, არამედ საზოგადოების ინფორმირებულობის, კრიტიკული აზროვნებისა და მედია-წიგნიერების

სისტემურ განვითარებას. მომავალში მსგავსი კვლევების გაფართოება, განსაკუთრებით რაოდენობრივი მეთოდებისა და სოციალური მედიის ქსელური ანალიზის გამოყენებით, ხელს შეუწყობს პროპაგანდის მექანიზმების უფრო ღრმა გაგებას და დემოკრატიული მედიაგარემოს გაძლიერებას.

ბიბლიოგრაფია

1. Castells, M. (2012). Networks of outrage and hope: Social movements in the Internet age. Polity Press.
2. Chadwick, A. (2017). The hybrid media system: Politics and power (2nd ed.). Oxford University Press.
3. Civil.ge. (2024). Civil society protest and information environment in Georgia. https://civil.ge/
4. Diamond, L. (2002). Thinking about hybrid regimes. Journal of Democracy, 13(2), 21–35.
5. FactCheck.ge. (2024). Manipulated materials shared on social networks in the context of pre-election and protest waves. https://factcheck.ge/en/story/43286
6. Fuchs, C. (2017). Social media: A critical introduction (2nd ed.). SAGE Publications.
7. Herman, E. S., & Chomsky, N. (1988). Manufacturing consent: The political economy of the mass media. Pantheon.
8. ISFED. (2024). Social media monitoring during the 2024 protest wave. International Society for Fair Elections and Democracy.
9. Levitsky, S., & Way, L. A. (2010). Competitive authoritarianism: Hybrid regimes after the Cold War. Cambridge University Press.
10. Myth Detector. (2024). Disinformation narratives during the 2024 protests in Georgia. https://mythdetector.ge/en/
11. Netgazeti. (2024). Media environment and transparency: Coverage of the 2024 protests. https://netgazeti.ge/
12. Publika. (2024). Dynamics of protest and digital narratives in Georgia. https://publika.ge/
13. Transparency International Georgia. (2024). Disinformation and political polarization in Georgia. Tbilisi.
14. Wardle, C., & Derakhshan, H. (2017). Information disorder: Toward an interdisciplinary framework for research and policy making. Council of Europe. https://rm.coe.int/information-disorder-toward-an-interdisciplinary-framework-for-researc/1680762141

15. რესპოდენტი N1, მასობრივი კომუნიკაციების ექსპერტი. ინტერვიუ ჩაიწერა: 15.01.2025
16. რესპოდენტი N2, სამოქალაქო განათლების სპეციალისტი. ინტერვიუ ჩაიწერა: 17.01.2025
17. რესპოდენტი N3, მასობრივი კომუნიკაციების ექსპერტი. ინტერვიუ ჩაიწერა: 17.01.2025
18. რესპოდენტი N4 სოციალური მედიისა და მარკეტინგის ექსპერტი. ინტერვიუ ჩაიწერა: 17.01.2025
19. რესპოდენტი N5, მასობრივი კომუნიკაციის ექსპერტი. ინტერვიუ ჩაიწერა: 17.01.2025